ბორჯომი

26 ოქტომბერი
ხუთშაბათი
2023 წელი
№45 (9307)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ვფასავთ ბორჯომელ ადამიანებს, ვფასავთ ბორჯომელ ადამიანებს

ბორჯომის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, სასტუმრო „ბორჯომილიკანში“ თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალ-კონკურსი მიმდინარეობს.

კონკურსი 4 ასაკობრივ კატეგორიაში ტარდება, რომელშიც გამარჯვებულები შესაბამისი პრიზებით დაჯილდოვდებიან.

კონკურსში, ასევე, მონაწილეობენ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები.

კონკურსის მონაწილეებს კომპეტენტური ჟიური შეაფასებს.

კონცერტების ციკლში 21-22 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა მუსიკოსებმა: **ვალერიან შიუკაშვილმა და გიგი პიანომენმა.**

ფესტივალ-კონკურსის დახურვა და გამარჯვებულთა გალა-კონცერტი 24 ოქტომბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ თენგიზ ამირეჯიბის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი ღვაწლმოსილი ქართველი პიანისტისა და პედაგოგის, თენგიზ ამირეჯიბის პატივსაცემად დაარსდა. 2017 წელს კონკურსს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭა.

ამ მეტად პრესტიჟული და წლების მანძილზე აღიარებული საერთაშორისო მნიშვნელობის მუსიკალური ფესტივალ-კონკურსი ჩვენი თანაქალაქელის, ცნობილი არქეოლოგის, ბორჯომის საპატიო მოქალაქის, პროფესორ ვახტანგ ლიჩელის, სახელოვანი ქალიშვილის, შესანიშნავი მუსიკოსის და ბორჯომის საპატო მოქალაქის **თამარ ლიჩელის** ინიციატივით დაფუძნდა და იგი ყოველწლიურად იმართება ჩვენს კურორტ-ქალაქში.

კონკურსის მიზანია კლასიკური მუსიკით ახალგაზრდების დაინტერესება და მათი საშემსრულებლო დონის ამაღლებაა.

საინფორმაციო მონიტორინგი ბორჯომში

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და დაფინანსებით, ოთხ ლოკაციაზე საინფორმაციო მონიტორი დამონტაჟდა.

საინფორმაციო მონიტორზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული, კულტურული, სპორტული და სხვა სახის ინფორმაცია განთავსდება.

მორჯომში ვეტერანთა დღე აღინიშნა

17 ოქტომბერს ვეტერანთა დღის აღსანიშნავი ღონისძიება ბორჯომში აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირთა მემორიალთან გაიმართა.

ღონისძიებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები და ვეტერანები ესწრებოდნენ.

ბორჯომის მერმა, საკრებულოს თავჯდომარემ და ვეტერანებმა ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს.

- დღეს კიდევ ერთხელ გავიხსენეთ ვეტერანები, ღვაწლმოსილი და ჩვენი ქვეყნის წინაშე დამსახურებული ადამიანები. ჩვენი მოვალეობაა მაქსიმალურად ვიზრუნოთ მათზე, - განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა.**

ვეტერანთა დღე 17 ოქტომბერს საქართველოში 2015 წლიდან აღინიშნება.

მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტები

ბორჯომში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამის ფარგლებში, 3 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება მიმდინარეობს.

თორის №5-ში მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი ბინა თუნუქის სახურავით გადაიხურა, სამსართულიანი ბინის გამაგრების სამუშაოები მიმდინარეობს რუსთაველის №147-ში, ხოლო, მესხეთის №7-ში სადარბაზოების რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა.



ქობისხევში მდინარის კალაპოტში 50-მეტრიანი რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა მიმდინარეობს.

საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 170 00 ლარით დაფინანსდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე დაიწყო.

გიწვევთ ანსამბლ „ბორჯომის“ საიუბილეო კონცერტზე

26 ოქტომბერს, 18:00 საათზე, შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, ვაქთა ვოკალური ანსამბლი „ბორჯომის“ 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ძველი და ახალი თაობა, კონცერტს გამართავს.

ანსამბლი „ბორჯომი“ მსმენელის წინაშე ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი ქართული სიმღერებით წარსდგება.

SOS

როდემდე გაგრძელდება გარე ვაჭრობა ბორჯომის ქუჩებში

მინიბაზარი საბარგო ავტომობილებში

ჩვენს მკითხველს არაერთი სტატია გაახსენდება ბორჯომის ქუჩებში არსებულ გარე ვაჭრობაზე, რომელსაც გაზეთი „ბორჯომი“-ს ჟურნალისტები მუდმივად ვაშუქებთ, საკითხი დროებით ძირითადად წინა საარჩევნოდ ფასადურად გვარდება ხოლმე, მაგრამ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, პრობლემა ისევ და ისევ მალევე თავს იჩენს.

ახლაც ასეა, ბორჯომის ქუჩებში მრავლად შეხვდებით გარე მოვაჭრეებს, რომლებსაც ცენტრალური ქუჩა პატარ-პატრა სავაჭრო ობიექტებად აქვთ გადაქცეული. საბარგო ავტომობილები კი მოსიარულე ბაზრის იმიტაციით წარმოდგება. ტრასის პირას მანქანების გამონაბოლქვსა და მტვერთან ერთად, მიწაზე განთავსებულ სავარაუსოს სოფლიდან ჩამოტანილი პროდუქტების სიმრავლეს ადვილად შენიშნავთ. სოფლის ნატურალური პროდუქტი რამდენად ვარგისია, როდესაც მასზე ავტომობილების გამონაბოლქვი მთელი დღის განმავლობაში ხვდება, ეს ლაბორატორიული კვლევის საგანს წარმოადგენს, თუმცა შეუიარაღებელი თვალითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, მსგავს ადგილებში შეძენილი სოფლის ნობათის ავკარგიანობაზე.

გარე მოვაჭრეებს შეხვდებით როგორც ახალციხის სოფლებიდან, ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტიდან ჩამოსულებს, რომლებმაც პროდუქტების გაყიდვა სწორედ რომ ბორჯომის ქუჩებში გადაწყვიტეს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ვალეში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ქალბატონმა საუბრისას განაცხადა, რომ ბორჯომში უკვე 10 წელია ახალციხიდან დადის და მას მუდმივად ჰყავს თავის მომხმარებელი.

- ჩემი პროდუქტები მოწონთ. ნატურალურია და სულ ყიდულობენ. წლებია ბორჯომში ვვაჭრობ, ზოგჯერ გვიშლიან აქ დგომას, მაგრამ ძირითადად მაინც შესაძლებელია სოფლის პროდუქტების გაყიდვა და საღამოს შინ დაბრუნება.

კითხვაზე, რატომ არ ყიდის პროდუქტებს ახალციხეში, გვიპასუხა, რომ ბორჯომში თავისი მომხმარებლები ჰყავს და ხანდახან ახალციხელებსაც სთავაზობს, თუმცა აქ უკვე იციან და იცნობენ, სად უნდა შეიძინონ პროდუქტები, ზოგჯერ სპეციალურად აბარებენ ყველს, კაკალს, თუთის ტყლაპს, ჩურჩხელებს, ბროკოლს და ა.შ.

ისიც ვკითხეთ, ახალციხის ქუჩებში თუ ვაჭრობენ?

- არა, მკაცრად გვიშლიან, ყველას აგრარულ ბაზარში აგზავნიანო.

მაშ, ბორჯომის ქუჩები ყველა მოვაჭრისათვის რატომ არის ბაზრად გადაქცეული, იქნებ ამ კითხვაზე გვიპასუხონ მათ, ვისაც გარე ვაჭრობის აღკვეთა ევალება.

აქვე, რუსთაველის ქუჩაზე კონკურენტ

მინიბაზარსაც შეხვდებით, რომელიც პირდაპირ საბარგო ავტომობილებშია გახსნილი, შეგიძლიათ მოგუგუნე ავტომობილების თანხლებით შეიძინოთ სეზონური ხილი და ბოსტნეული.

მინიბაზარი საბარგო ავტომობილებში არც თუ იშვიათია ჩვენს ქალაქში, ხელოვნურად შექმნილ ბაზრის ტერიტორიაზე იმდენად ხშირია აღნიშნული ფაქტი, რომ ხშირად ფეხით და ავტომობილით გადაადგილება შეუძლებელი ხდება. აღარაფერს ვამბობ ავტობუსებზე, რომლებისთვისაც მათთვის განკუთვნილ ადგილმდებარეობაზე მუდმივად უწევთ ცდა, რათა ქაოსურად მოსიარულე მანქანებსა და მოქალაქეებს შორის არ შექმნან საავარიო ვითარება.

ეს ვითარება ახალი არაა არც ერთი ბორჯომელისთვის, სტუმრისთვისა და ტურისტისთვის, რომელიც ცენტრალურ ქუჩებზე გადაადგილდება.

მოწესრიგებული გარემო ჭირდება ჩვენს ბორჯომს, რომელიც არ უნდა იყოს ხილ-ბოსტნეულისა და პროდუქტების სავაჭრო ქუჩებად ქცეული, როდესაც გვაქვს აგრარული ბაზრის ტერიტორია, სადაც უამრავ თავისუფალ ადგილს შეხვდებით, სადაც ყველა საჭირო პირობებია შექმნილი, გაყიდონ და იყიდონ სასურველი პროდუქტები, რომლებიც ბევრად უსაფრთხო და დაცულ პირობებშია გამოტანილი.

იზა იანვარაშვილი

რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებიდან

იმედია, მსგავსი უკანონობა აღარ განმეორდება...

საქართველოს გენერალურ პროკურორს, ბატონ ირაკლი შოთაძეს,
ქალაქ ბორჯომში, გამარჯვების ქუჩა №16 (ა)-ში მცხოვრები,
საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის წევრის
თამაზ გელაშვილის (მობ: 599 19 55 91)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო გენერალურო პროკურორო, საინფორმაციო საშუალებებით მთელი საქართველოსთვის ცნობილი გახდა, რომ 2023 წლის 11 ოქტომბერს დააპატიმრეს ავადსახსენებელი **ზურაბ ადეიშვილის** ღამის ნოტარიუსად წოდებული **ნუნუ გინტური,** რომელიც ასეულობით ოჯახის თაღლითური გზით მოტყუებასა და გაუბედურებაშია მხილებული. პირადად მე და ჩემს ოჯახს ადეიშვილის ღამის ნოტარიუსმა ნუნუ გინტურმა 9 მილიონი ამერიკული დოლარის თანხა და უძრავი ქონება მოგვპარა და თაღლითური გზით მიითვისა, ხოლო სახელმწიფოს მილიონობით ლარის გადასახადი არ გადაუხადა. წლების განმავლობაში ქართულ პრესასა და მათ შორის, ბეჭდვითი სიტყვის ფლაგმან გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (გამოქვეყნებული ინტერვიუებისა და წერილების ნაწილის ქსეროასლები განცხადებას თან ახლავს.) ნუნუ გინტურს ვამხელდი და სამართალდამცავ ორგანოებს რეაგირებისაკენ მოვუწოდებდი. 2016 წელს ნუნუ გინტური პროკურატურამ ერთხელ უკვე დააპატიმრა და საზოგადოებას ტელევიზიით აცნობა, რომ გინტურსა და მის ამფსონებს მოსახლეობისგან, კერძოდ, ბინათმშენებლობის ამხანაგობისგან თაღლითური გზით მიტაცებული ჰქონდა 700 000 ამერიკული დოლარი, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, - ორ დღეში სასამართლომ გინტური სასაცილო თანხის - 50 000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა!

ხელთ მაქვს ნოტარიალურად დამოწმებული სკანდალური მამხილებელი დოკუმენტები, რომლითაც ნუნუ გინტურის დანაშაულებრივი და თაღლითური საქმიანობა უტყუარად დასტურდება.

მზას ვარ, საჭიროების შემთხვევაში, პირადად გამოვცხადდე გენერალურ პროკურატურაში და ნუნუ გინტურისა და მისი დანაშაულებრივი სინდიკატის შესახებ ოფიციალური ჩვენება მოგცეთ!

თამაზ გელაშვილი.
თბილისი, 2023 წლის 13 ოქტომბერი.

2023 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უკვე მერამდენედ დააპატიმრა წყეული ზურაბ ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი **ნუნუ გინტური,** რომელსაც ამჯერად ბინების დაგირავებით დაინტერესებული პირების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლებაში ედება ბრალი. გინტურთან ერთად დაკავებულია კიდევ ორი პირი - ერთი ნოტარიუსი და ნოტარიუსის თანაშემწე. გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ნუნუ გინტური და მისი დანაშაულებრივი კარტელის წევრები ნოტარიუსების დახმარებით, 94 დაზარალებულის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას, კერძოდ, 2 მილიონ 686 ათას 700 ლარს დაეუფლნენ.

აღსანიშნავია, რომ ეს ნუნუ გინტურისთვის დანაშაულში მხილების პირველი შემთხვევა არ არის. იგი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 2016 წელსაც დააკავა, მაგრამ რაღაც მანქანებით პირწავარდნილი თაღლითი და ქურდბაცაცაა, რომელსაც სახელოვანი ქართველი ფეხბურთელებით **მანუჩარ და გოჩა მაჩაიძით** დაწყებული, ღამის ნახევარი საქართველო „გადაგდებული“ და გატყავებული ჰყავს, მაინც გათავისუფლდა! გინტურის მსხვერპლთა შორის არის საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის ყოფილი წევრი **თამაზ გელაშვილიც,** რომელიც იმედოვნებს, რომ პროფესიონალი თაღლითი, რომელმაც 9 მილიონი დოლარის ქონება მოჰპარა, მართლმსაჯულებას ამჯერად მაინც ვერ გაექცევა და უკანონოდ მიტაცებულ თითოეულ თეთრზე პასუხს აგებს:

- ნუნუ გინტურმა ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების კუთვნილ ბიზნესს რა დღეც დააწია და რა ზიანიც მოგვაყენა, „ასავალ-დასავალის“ წყალობით, მთელმა საქართველომ იცის. ამიტომ ამ გარეწარ ქალზე, რომელიც საერთოდ ადამიანი არ არის, ახალს ვერაფერს გეტყვით! თუმცა, ერთი რამ არ შემიძლია, არ გავიხსენო: იქნებოდა 2012 წლის 5 დეკემბერი, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ქვეყნის სათავეში სულ ახალი მოსული იყო, როცა სამართლიანობის აღდგენის მიზნით გენერალურ პროკურატურას მივადექი და ნუნუ გინტურის წინააღმდეგ საჩივარი შევიტანე. გოგონა, რომელმაც ჩემი განცხადება ჩაიბარა, იღიმებოდა და ვკითხე, რატომ იღიმით-მეთქი?

- რაც ეს ახალი ხელისუფლება მოვიდა, ამ ერთ თვეში მრავალი ასეული საჩივარი შემოვიდა და აქედან მესამედი სწორედ ნოტარიუს ნუნუ გინტურს უჩივისო!

● მერე რა მოხდა, აღადგინეთ სამართლიანობა?

- მერე ის მოხდა, რომ მიმიყვანეს გენერალურ პროკურატურაში, დამკითხეს და იმის შემდეგ თერთმეტი წელი ისე გავიდა, არაფერი გააკეთეს! მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს ქალი იყო აშვებული და როგორც ადეიშვილისა და სააკაშვილის დროს ატყავებდა ხალხს, ზუსტად ისე აგრძელებდა დანაშაულებრივ საქმიანობას. ახლა რომ დაიჭირეს, არ ვიცი, შეშინებულია თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ნუნუ გინტური ძალიან შეშინდა 2008 წელს, როცა ვანო მერაბიშვილმა მაგის ოფისში ჩხრეკა ჩაატარა და ამოიღო ნოტარიუსის ძველი ბეჭედი, რომელიც იუსტიციის სამინისტროში შედგენილი საგანგებო აქტით წესით განადგურებული უნდა ყოფილიყო...

● ამ ძველი ბეჭდით გინტური რას აკეთებდა?

- მაგით აკეთებდა თუ აკეთებდა... საქართველოში თუ ვინმე პირდაპირი მემკვიდრის მხარეშე მოკვდებოდა, ვიღაცა გადაიხდიდა თანხას, მოვიდოდნენ გარდაცვლილის ოჯახში, ძველი რიცხვებით შეადგენდნენ ყალბ ანდერძს და დაინტერესებული პირი ასე ჩაიგდეგდა ხელში დიდძალ ქონებას. ცხადია, ამ ქონებიდან ძალიან სერიოზული წილი ნუნუ გინტურს რჩებოდა. მაშინ, 2008 წელს, ვანო მერაბიშვილის ქორმეძებრებმა გინტურის სახლიდან და ოფისიდან ამოიღეს „შავი ბუღალტერიის“ დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ნუნუ გინტურსა და მის ამფსონებს დიდძალი თანხები ჰქონდათ მიტაცებული. გინტურის ოფისში ასევე იპოვეს იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ მხოლოდ ერთ დღეში ნუნუ გინტურმა ბრილიანტის 16 ბეჭედი იყიდა. აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ გინტურს თაღლითობით, ნაცებთან ჩახუტებაჩასკვნით და სწორედ იმ ძველი ბეჭდის წყალობით, რომელსაც სადაც უნდა იქ ურახუნებდა, ლონდონის ცენტრსა და ატლანტის ოკეანის საფრანგეთის სანაპიროზე სასახლეები აქვს ნაყიდი.



● მითხრეს, ნუნუ გინტურს ოქროს ზოდებიც აქვსო!

- დანამდვილებით ვიცი, რომ აქვს. 9 მილიონი დოლარი მომპარა და გინტურს ოქროს ზოდები და ბრილიანტები რომ ჰქონდეს, რა გასაკვირია?! თუმცა, ჩემთვის უცნობია 2008 წელს ჩატარებული ჩხრეკის დროს „ვანო ხერხემალმა“ მიაკვლია თუ არა ნუნუ გინტურის განძს - სამლიტრიან და ორლიტრიან მინის ჭილებს, რომლებიც ჩემი ინფორმაციით, ბრილიანტებითა და ოქოებით პირამდე იყო სავსე და ნუნუ გინტურის ბუღალტრის მანანა მარგველაშვილის მეგობარ ქალთან სადღაც დასაკარგავში ინახებოდა!

ისიც უცნობია, თუ რა მიზანს ემსახურებოდა 2008 წლის გაზაფხულზე ვანო მერაბიშვილის მიერ ნუნუ გინტურის ოფისსა და მანანა მარგველაშვილის სახლში ჩატარებული ჩხრეკა და რა შავმა კატამ გაირბინა მაშინ გინტურსა და ნაცსექტის ბელადებს შორის, რომ ადეიშვილის ღამის ნოტარიუსს ასე უცერემონიოდ თავს დააცხრნენ. ცნობისათვის, ნუნუ გინტური არ მალავდა და პირადად ჩემთვის აქვს ნათქვამი აბა, გაბედონ და დამიჭირონ, სააკაშვილით დაწყებული, ნაცპროკურორ გიორგი ღვინიაშვილით დამთავრებული, ნაცებმა ყველა მიტაცებული ქონება თავიანთ ნათესავებზე სწორედ ჩემი მეშვეობით გადაიფორმეს და ყველაფერს დავამღერებო!

● 2008 წელს, როცა ოფისში ძველი ბეჭედი უპოვეს, გინტური მაშინ არ დაუკავებიათ?

- არა, არ დაუკავებიათ, რადგან ადეიშვილის პირდაპირი მფარველობის ქვეშ იყო! როგორც ვიცი, მაშინ ვანო მერაბიშვილმა ისარგებლა ადეიშვილის საზღვარგარეთ ყოფნით და გინტურის ოფისში ჩხრეკა ჩაატარა, მაგრამ ადეიშველი ჩამოვიდა თუ არა, ნუნუ გინტურს მაშინვე ჩამოეხსნენ და მისკენ არც კი გაუხედავთ! 2014 წელს გინტურს ახალმა ხელისუფლებამ ნოტარიუსის ლიცენზია ჩამოართვა... მთელი რვა წლის განმავლობაში ჩიოდა გინტური და ითხოვდა ნოტარიუსის უფლების აღდგენას. **რისთვის ითხოვდა?** იმისთვის, რომ ის ძველი ბეჭედი ისევ ძველებურად ერახუნებინა და მილიონები ეკეთებინა!

● ნოტარიუსის ის ძველი ბეჭედი ნუნუ გინტურს ისევ აქვს?

- ალბათ აქვს, თორემ ნოტარიუსად აღდგენისთვის თავს რატომ მოიკლავდა? იუსტიციის სამინისტროში ჩაბუდებული და ჩანერგილი სააკაშვილის ხელისბიჭების მეშვეობით, ნუნუ გინტურმა იმდენი მოახერხა, რომ იმ ათასობით საქმიდან, რომელიც მის თავზე დემოკლეს მახვილივით ჰკიდია, ამოარჩია და გაასაჩივრა ყველაზე სუსტი საქმე და ნოტარიუსობა აღიდგინა, ხოლო ჩემი საჩივრები და დოკუმენტები, რომლებიც დასტობით მაქვს სამართალდამცავ უწყებებში შეტანილი და ამ ქალს ციხეში ამოლპობა ეკუთვნის, გვერდზე გადადეს და არავითარი რეაგირება არ მოახდინეს!

● ახლა მაინც გაქვთ იმედი, რომ ნუნუ გინტურს მართლმსაჯულება მოჰკითხავს და სამართალი პურს ჭამს?

2016 წელს რომ დააკავეს, ორ დღეში გამოუშვეს, მაგრამ ახლა იმედი მაქვს, იუსტიციის სამინისტროსა და ძალოვან უწყებებში მოკალათებული ნაცები ნუნუ გინტურს ვერაფერს უშველიან, რადგან სასამართლომ წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა.

პარასკევს, 13 ოქტომბერს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ბატონი ირაკლი შოთაძის სახელზე განცხადება შევიტანე... იქაც დავწერე და აქაც ვიმეორებ: 2016 წელს ნუნუ გინტური პროკურატურამ ერთხელ უკვე დააპატიმრა და საზოგადოებას ტელევიზიით აცნობა, რომ გინტურსა და მის ამფსონებს მოსახლეობისგან, კერძოდ, ბინათმშენებლობის ამხანაგობისგან თაღლითური გზით მიტაცებული ჰქონდა 700 000 ამერიკული დოლარი, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, ორ დღეში სასამართლომ გინტური სასაცილო თანხის - 50 000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა!

იმედია, მსგავსი უკანონობა და ცინიზმი აღარ განმეორდება და ადეიშვილის ღამის ნოტარიუსს, რომელმაც 9 მილიონი მომპარა, სააკაშვილის მიერ ჩანერგილები გარეთ აღარ გამოუშვებენ!

ხელთ მაქვს ნოტარიულურად დამოწმებული სკანდალური მამხილებელი დოკუმენტები, რომლითაც ნუნუ გინტურის დანაშაულებრივი და თაღლითური საქმიანობა უტყუარად დასტურდება.

გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 16-22 ოქტომბერი, №45 (1509) 2023 წელი.

კიდევ რამდენი წელია საჭირო?!

ახალდაბაში, ბორჯომის ქუჩის დასაწყისში, მაღალი მთიდან, პატარა მდინარე, ნაღვარეთი ჩამოედინება. პატარაა, იტყვით, მაგრამ გაავებული რძლისა არ იყოს, თუ აიშვა, შეიძლება ირგვლივ ყველაფერი წალეკოს, ამის ფაქტები მრავლად ახსოვთ ახალდაბელებს, თუნდაც 10 წლის წინ მოვარდნილმა მდინარემ, თუ რამ ქვა-ღორღი, ტოტი თუ ხე შეხვდა გზად, ყველაფერი ბარში ჩამოიტანა და ხაშური-ბორჯომი-ვალეს ავტომაგისტრალის პატარა ხიდი თითქმის გაბიდნა და წყალი და ქვა-ღორღი გზაზე გადმოიტანა.

აღნიშნულს იმიტომაც ვიხსენებთ, რომ სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია, ხიდიდან მდინარის ზემოთ კალაპოტის ამორწმენდით დასრულდა. მაგრამ ხიდის ქვემოთ გაწმენდითი სამუშაოები არ განხორციელებულა და ამდენად თუ მდინარე ნაღვარეთი კიდევ აბობოქრდება, კატასტროფა გარდაუვალი იქნება, რადგან ეს ავტომაგისტრალი ძლიერ დატვირთულია, თანაც ახლომახლო მოსახლეობაც ცხოვრობს და მათი მიცვალებულების სასაფლაოც იქვეა.

კარგია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ამ 3 წლის წინ დაიწყო აღნიშნული ხიდის რეაბილიტაცია, ახალი, უფრო განიერი და ღრმა კალაპოტიანი ხიდის ასაგებად მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო და დღესაც არ დამთავრებულა. მოსახლეობა ფიქრობდა, რამდენიმე თვეში უფრო კეთილმოწყობილი ხიდი იქნებოდა აგებული, მაგრამ რამდენიმე თვე კი არა, მესამე წელი იწურება და ხიდის მშენებლობა კუს ნაბიჯით მიდის და კაცმა არ იცის, როდის დასრულდება, რადგან როგორც ხალხი ამბობს, აქ უკვე რამდენიმე სამუშაოთა მწარმოებელი შეიცვალა კორუფციისა თუ სხვადასხვა მიზეზების გამო. რა გახდა 7-მეტრიანი სიგანის მშენებლობის დამთავრება, რად უნდა ამდენი დრო თანამედროვე საამშენებლო ტექნიკის პირობებში?

ზემოთ აღნიშნული ვაი მშენებლობის საპირისპიროდ გამახსენდა გაზეთ „კვირის პალიტრის“ 2023 წლის №24 ნომერში, 32-ე გვერდზე დაბეჭდილი ინფორმაცია სათაურით: „მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხიდი წყლის თავზე“ ფოტოფაქტი და ტექსტი გვამცნობს, რომ ჩინეთში ააგეს ხიდი, რომლის სარეკორდო მონაკვეთის თითქმის 26 კმ-ია და უძლებს 8 ბალინ ძიწისძვრას, ტაიფუნს ან 30000-ტონიანი სუპერტანკერის დაჯახებას. აღნიშნული ხიდი 30 000 ავტომობილს ატარებს. 35 მეტრის სიგანის ხიდზე ექვსი სამოძრაო ზოლია. ხიდი 2007 წლიდან 2011 წლამდე შენდებოდა.

მოკლე ინფორმაცია გვაუწყებს, რომ ჩინეთში ხმელეთიდან კუნძულზე დასაკავშირებლად მოკლე ვადებში აშენდა უნიკალური და უგრძესი ხიდი.

ახლა შედარებით მასშტაბები: ახალდაბაში მშენებარე 7 მეტრი სიგრძის ხიდი, რომელიც 3 წელია შენდება და ჩინეთში თითქმის ამავე დროში აგებული 26 კმ-იანი ხიდი.

მე კარგად ვიცი, ჩინეთის და ჩვენი ქვეყნის სამშენებლო შესაძლებლობები და ეჭვი არ მეპარება, რომ ჩინეთი თავისი შესაძლებლობებით ბევრად მაღლა დგას საქართველოზე, მაგრამ ყველაფერს ხომ უნდა ქონდეს ზღვარი, ამ პატარა ხიდის მშენებლობას რად უნდა ამდენი დრო, მითუმეტეს, რომ წყალმოვარდნის და ხიაღვრის არა ერთი ფაქტის მოწმენი ვართ, საქართველოს ტერიტორიაზე აგერ სულ ახლახან გადავიტანეთ კურორტ შოვის ტრაგედია და გურიაში დატრიალებული უბედურება.

ვფიქრობ, აღნიშნული საკითხის მოგვარებისა და დაჩქარების საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამაც.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

ვოკალური ანსამბლი იუბილარია

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი მრავალი შესანიშნავი მუსიკისა და სიმღერების ავტორი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, ბატონი ვაჟა აზარაშვილი წერს „სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება“! დიახ, ქართველი კაცს სიცოცხლეზე მეტად უყვარდა და დღესაც უყვარს სიმღერა და საგალობელი. ომშიც სიმღერით მიდიოდა და გამარჯვებული შინ სიმღერით ბრუნდებოდა, ყანაშიც სიმღერით გაჰქონდა სვრელი და გარდაცვლილის გულიანი დატირება იცოდა. დღესაც ასეა, კარგი სიმღერის მოსმენა ერთ რამედ ღირს, ნეტავი იმას, ვინც თავისი სიმღერით თვითონაც ტკბება და მსმენელსაც ატკბობს.

ეს შესავალი ნამდვილად მიესადაგება ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულ ვაჟთა სახალხო ვოკალურ ანსამბლ „ბორჯომს“, რომელსაც 50 წლის საიუბილეო თარიღი შეუსრულდა.

დიახ, ანსამბლი 1973 წელს შეიქმნა.

ვაჟთა ვოკალური ანსამბლი თავისუფად ადგილზე არ აღმოცენებულა. ანსამბლს ყავდა წინამორბედები. ბორჯომში წარმატებით მოქმედებდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც შესანიშნავი ხელმძღვანელები ყავდა, **ქალბატონ ქეთევან ღოღობერიძის და ბატონ გრიგოლ ჩივაძის სახით.**

სახელოვანი ანსამბლი არაერთი კონკურსის გამარჯვებული და ლაურეატი იყო. მისი დაშლის შემდეგ შეიქმნა ვაჟთა ვოკალური ანსამბლი.

ანსამბლი „ბორჯომი“ ჩვენი ქალაქის სიამაყეა

განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ანსამბლმა „ბორჯომმა“ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. შევეცდები მკითხველს გავახსენო ანსამბლის წევრები, რომლებიც თავიანთი

სიმღერებით ქმნიდნენ ანსამბლის ისტორიას.

ანსამბლის ჩამოყალიბების ორგანიზატორი და პირველი ხელმძღვანელი გახლდათ ბატონი **იანგო ურჩაძე**, იმხანად ანსამბლში 13 მომღერალი იყო გაერთიანებული. **ჯუმბერ გუგუბერიძე, ლერი დოლიძე, ზანგური ანდღულაძე, ალექსანდრე (ტაია) სალაღაია, რობერტ ნადირაძე, ზაურ წიქარიშვილი, ჯემალ დოიჯაშვილი, თენგიზ ჩიკვილაძე, გურამ კახელი, გივი (ხაშლამა) ხვედელიანი, გურამ ახვლედიანი, ომარ გელაშვილი,** რომლებიც ასრულებდნენ ხალხურ და ქალაქურ სიმღერებს. იმხანად ანსამბლის სოლისტები იყვნენ **ლერი დოლიძე, ჯუმბერ გუგუბერიძე, ზანგური ანდღულაძე და იანგო ურჩაძე.**

მაღალორგანიზებული და თავდაუზოგავი შრომით ანსამბლმა დიდი ავტორიტეტი და მსმენელთა სიყვარული დაიმსახურა.

ანსამბლი არამარტო ბორჯომელებს ემსახურებოდა, არამედ მთელ სამცხე-ჯავახეთს და მეზობელ რაიონებში ქონდათ კონცერტები.

ანსამბლი „ბორჯომი“ მრავალი დათვალიერების და კონკურსის მონაწილეა.

1976 წელს ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბკილების დათვალიერებაში, საქართველოდან ანსამბლი „ბორჯომი“ იყო მიწვეული, სადაც მესამე ხარისხის დიპლომი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

მომდევნო წელს ანსამბლი ბაიკალ-ამურის მაგისტრალის (ბამის), კერძოდ, სადგურ „ნია-გრუბინსკაიას“ მშენებლებისათვის კონცერტების ჩასატარებლად გაემგზავრა. ამ სადგურს ქართველები, მათ შორის ბორჯომლებიც აშენებდნენ. ბამიდან ანსამბლის წევრები აღფრთოვანებულები დაბრუნდნენ.

1978 წელს ანსამბლ „ბორჯომს“ ხელმძღვანელობდა საქართველოს სახალხო არტისტი და ცნობილი კომპოზიტორი **მამია ხატელიშვილი,** მისი ხელმძღვანელობით ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ხალხური სიმღერების კონკურს-ფესტივალში, სადაც რესპუბლიკის ლაურეატობა დაიმსახურა. იმავე წელს ანსამბლს ახალი წევრები შეემატა. მათ შორის იყვნენ **სოსო სვანიძე, გოგი ფერაძე, გია მშვილდაძე, მურმან ფილიშვილი, სოლისტი კუკური კალმახელიძე, ძმები ზურაბ და იური გელაშვილები.**

მომდევნო წელი ანსამბლის წევრებისათვის ტრაგიკული გამოდგა. გორში, ეროვნულ ფესტივალზე წასულებს ავტოავარიის შემთხვევისას დაიღუპა შესანიშნავი პიროვნება **ჯემალ დოიჯაშვილი,** რის გამოც ფესტივალი დიდი ხნით გადაიდო.

მეტად ნაყოფიერი გამოდგა სახალხო ანსამბლ „ბორჯომისათვის“ გასული საუკუნის 80-90-აინი წლები. 1981 წელს ანსამბლს შეემატა **მეკლუდი თოთლაძე და გოჩა ბლიაძე.**

1980 წელს სახალხო ანსამბლი „ბორჯომი“ საქართველოს ტელევიზიაში მიიწვიეს და ანსამბლის შესრულებული სიმღერები საარქივო ფონდში შეიტანეს, სწორედ მაშინ პირველად შესრულდა მამია ხატელიშვილის სიმღერა „თენდება“.

1981 წელს ანსამბლი პოლონეთის ქალაქ კრაკოვში, საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს, მაგრამ პოლონეთში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო ანსამბლის ვიზიტი შეწყდა, სამაგიეროდ მოსკოვში რამდენიმე კონცერტი გამართეს და სამშობლოში მშვიდობიანად დაბრუნდნენ.

მომდევნო 1981 წელს „ბორჯომი“ მოსკოვში საკავშირო ტელევიზიაში მიიწვიეს, სადაც ანსამბლის მთლიანი პროგრამა ჩაიწერეს, რომელიც სსრ კავშირის ოქროს ფონდშია დაცული. იქვე ცენტრალურ საკავშირო რადიოში ჩაიწერა ანსამბლის მთლიანი რეპერტუარი.

1989 წელს ანსამბლს სათავეში ჩაუდგა საქართველოს დამსახურებული ლოტბარი ბატონი **თემურ ქევხიშვილი.** მისი ხელმძღვანელობით ანსამბლი მოლდავეთის რესპუბლიკაში საერთაშორისო ფესტივალში „ლიმბა ნოასტრა-ში“ მონაწილეობს და გამოდის დიდ საკონცერტო დარბაზებში და სტადიონებზე, სადაც მაყურებელთა დიდი სიმპათია დაიმსახურა. ანსამბლმა პირველი ხარისხის დიპლომი და ლიტვის რესპუბლიკაში საერთაშორისო ფესტივალზე მიწვევა დაიმსახურა.

1990 წელს ანსამბლს ხელმძღვანელობს ქალბატონი **მეგი ღონღაძე** და ლიტვის რესპუბლიკის ქალაქ იურბარკასში ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრება, საიდანაც პირველი ხარისხის დიპლომით და გრანპრით ბრუნდება.

მომდევნო წელს რუმინეთის ქალაქ ბეილეჰერკულანში საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში პირველი ხარისხის დიპლომი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

1992 წელს ვაჟთა ვოკალურ ანსამბლს „ბორჯომს“ სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა.

გადიოდა წლები და თანდათანობით იცვლებოდნენ ანსამბლის ხელმძღვანელები და წევრები.

1993 წელს ანსამბლს ისევ **იანგო ურჩაძე,** ხოლო **1995 წელს რობერტ ნადირაძე** ჩაუდგნენ სათავეში. ანსამბლი ახალი წევრებით, ხოლო რეპერტუარი პოპულარული სიმღერებით შეივსო.

1997 წელს ანსამბლი რუმინეთის რესპუბლიკაში საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე მიიწვიეს, სადაც პირველი ხარისხის დიპლომით და გრანპრი-მუსიკალური ლირა დაიმახურა.

1999 წელს „ბორჯომი“ უკრაინის ქალაქ სლავუტიჩში საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში მიიწვიეს, სადაც პირველი ხარისხის დიპლომით და პრიზით „მაყურებლის სიმპათია“ დაჯილდოვდა. **ანსამბლს არსებობის მანძილზე ორჯერ გადაუხადეს იუბილე.**

2002 წელს სახალხო ანსამბლი „ბორჯომი“ თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ალაპლაში საერთაშორისო ფესტივალზე მიიპატიჟეს, სადაც არნახულ წარმატებას მიაღწია და პირველი ხარისხის დიპლომი და გრანპრი დაიმსახურა.

სამწუხაროდ, განვლილი წლების მანძილზე ანსამბლის არაერთი შესანიშნავი მომღერლები და პიროვნებები გარდაიცვალნენ.

ანსამბლს უდროოდ გამოაკლდნენ ჯუმბერ გუგუბერიძე, ლერი დოლიძე, ალექსანდრე (ტაია) სალაღაია, ჯემალ დოიჯაშვილი, გივი ანთიძე, ზურაბ გოგრიჭიანი, ჯემალ რობაქიძე, თემურ ნოზაძე, პაატა მაისურაძე, გურამ ახვლედიანი, ომარ გელაშვილი, გოგი ფერაძე, სოსო სვანიძე, გია მშვილდაძე, კუკური კალმახელიძე და სხვები.

ანსამბლ „ბორჯომის“ წარმატებები წლიდან წლამდე სულ უფრო პოპულარული ხდებოდა.

2003 წელს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა კონკურსი გამოაცხადა ახალგაზრდა მომღერლების გამოსავლენად და ანსამბლის დასაკომპლექტებლად 2003 წელს ჩამოყალიბდა ანსამბლი „ბორჯომი-2“. ანსამბლის ხელმძღვანელებად შეირჩნენ **რობერტ ნადირაძე, გივი ხვედელიანი და ჯუმბერ გუგუბერიძე.**

მომდევნო წლიდან ანსამბლის ლოტბარად და ხელმძღვანელად **რობერტ ნადირაძე დაინიშნა, ხოლო ანსამბლის წევრები გახდნენ ლაშა ხასია, დიმიტრი ბლიაძე, რევაზ მაღრაძე, ვიქტორ არონიშვილი, ალექსანდრე ლურსმანაშვილი, ირაკლი აჭარაძე, ლევან ბითაროვი, ალეკო სტეფანიანი, ლადო კამკამიძე, ბაჩო ჯალალაია, ვასიკო და დიმიტრი თედიაშვილები.**

2005 წელს ანსამბლი „ბორჯომი-2“ მონაწილეობას იღებს საქართველოს ბავშვთა და მოზარდთა ხელოვნების ფესტივალში, სადაც იგი პირველად გახდა ლაურეატი და დაჯილდოვდა საპატიო სიგელით, ამასთან აქტიურ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ სახლხო ზეიმებში (მცხეთობა, თბილისობა, ბორჯომ-ქალაქობა, ვარძიობა, რუსთავ-ქალაქობა და სხვა).

2007 წელს ანსამბლს შეემატა ახალი წევრები **ივანე მუხურაძე, გიორგი დარჩია, ოთარ ჩუხრუკიძე, გელა ყაულაშვილი, ირაკლი აჭარაძე, ომარ ტოტოშვილი.**

იმავე წელს ანსამბლმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქალაქ საჩხერეში გამართულ სრულიად საქართველოს ფესტივალზე „ქართული საგალობლები“ და წარმატებული გამოსვლისათვის საპატრიარქოს სიგელი დაიმსახურა.

2010 წელს ანსამბლის ძველ შემადგენლობას დაემატა ახალი წევრები **შოთა ლეკიშვილი, მალხაზ კურტანიძე.**

2012 წელს ანსამბლს შეემატა **ბაქარ ლომიძე** და **კახა გოგოლაძე**.

2013 წელს ანსამბლმა სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არსებობა შეწყვიტა.

2015 წელს ანსამბლი ისევ ძველი წევრებისაგან შეივსო და **უჩა ურჩაძე** შეემატა. იმავე წელს

ანსამბლი ლიტვის რესპუბლიკაში ქალაქ კაუნასში სახალხო სიმღერების ფოლკლორულ საერთაშორისო ფესტივალზე **„ატატარია ლამზდიაი-2015“** მიიწვიეს. გალა კონცერტზე ანსამბლი პირველი ხარისხის დიპლომით და გრანპრით დაჯილდოვდა.

2015 წელს ბორჯომში გაიმართა საერთაშორისო ფესტივალი **„ჰარმონია“,** სადაც ანსამბლმა „ბორჯომმა“ მიიღო მონაწილეობა და პირველი ხარისხის დიპლომით და სიგელით დაჯილდოვდა. მომდევნო **2016 წელს** ანსამბლი „ბორჯომი“ დამეგობრებულ ქალაქ მადონაში (ლატვიის რესპუბლიკა) გაემგზავრა ქალაქის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, გალა კონცერტზე პირველი ხარისხის დიპლომით და სამახსოვრო საჩუქრებით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ მშობლიურ ქალაქში.

2021 წელს ანსამბლს შეემატა სამი წევრი **ლევან დევიძე, შალვა კიკნაძე და მალხაზ კურტანიძე.**

2022 წელს ანსამბლს ხელმძღვანელობენ **რობერტ ნადირაძე** და საქართველოში აღიარებული და მეტად პოპულარული ლოტბარი **გიორგი ბუგიანაშვილი,** რომელიც დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ანსამბლის წევრებთან მუშაობას.

ანსამბლის დღევანდელ შემადგენლობა კი ასე გამოიყურება: *ლევან დევიძე, ლაშა ხასია, ვიქტორ არონიშვილი, ბაქარ ლომიძე, ოთარ ჩუხრუკიძე, შოთა ლეკიშვილი, დათო ლუქუნიძე, შალვა კიკნაძე, მალხაზ კურტანიძე და უჩა ურჩაძე.*

ვაჟთა სახალხო ანსამბლი „ბორჯომი“ დიდი ენთუზიაზმით ემზადება ახალი გამარჯვებებისათვის, სიკეთე, სიხარული და ბედნიერება ვუსურვოთ ანსამბლის ხელმძღვანელობას და მის წევრებს, მათი გულში ჩამწვდომი სიმღერები დიდხანს ატკბობდეს ბორჯომელ მსმენელებს და ჩვენი ქალაქის სტუმრებს.

ვალერიან ლომიძე.

ვულოცავთ!

ნალისტს, ნუკა სტეფნაძეს ჯილდო ,,კორპორაციული მდგრადობის თემაზე“ მომზადებული საუკეთესო ციფრული სტატიისთვის გადაეცა.

სტატია მეწარმეებზე სამცხე-ჯავახეთიდან „კარიბჭემ“ USAID მედია პროგრამის გრანტის ფარგლებში მოამზადა.

– ჩემი მასალით მინდოდა მეჩვენებინა, წარმატებული მაგალითებიც და ისიც, თუ რა პრობლემის წინაშე დგანან მეწარმეები, რა გზის გავლა უწევთ მათ პროდუქციის საბოლოო რეალიზაციამდე და როგორ უნდა შეძლონ ევროპის ბაზრის ათვისება - აღნიშნა ნუკა სტეფნაძემ.

ნუკა ასევე ამბობს, რომ მისთვის კონკურსში გამარჯვება, არამხოლოდ აღიარება, არამედ დიდი პასუხისმგებლობაცაა.

USAID/Georgia-ს მედია პროგრამა ხელს უწყობს მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი ამბების გაშუქებას. გაზეთ „ბორჯომის რედაქციაც ულოცავს რეგიონში მოღვაწე კოლეგას აღნიშნულ ჯილდოს და კიდევ მეტ წარმატებას უსურვებს.

საგულისხმო შეგონება

დირექტორის წერილი მასწავლებლებს!

ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა გაუგზავნა ეს წერილი ყველა მასწავლებელს, რომელიც სამსახურში აიყვანა:

ძვირფასო მასწავლებელო!

საკონცენტრაციო ბანაკი გავიარე, ჩემმა თვალებმა დაინახეს ის, რაც არ უნდა ნახოს კაცმა:

– როგორ აშენებენ გაზის კამერებს მეცნიერები და ინჟინრები;

– როგორ წამლავენ ბავშვებს კვალიფიციური ექიმები;

– როგორ კლავენ ნასწავლი ექთნები ჩვილებს;

– როგორ ესვრიან და წვავენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები ბავშვებსა და ქალებს.

ამიტომ, მე არ ვენდობი განათლებას.

გევედრებით, დაეხმაროთ სტუდენტებს ადამიანებად ჩამოყალიბებაში. თქვენს ძალისხმევას არასოდეს უნდა მოჰყვეს ნასწავლი მონსტრების, გაწვრთნილი ფსიქოპათების, განათლებული ეიჩმანის გაჩენა. კითხვა, წერა, არითმეტიკა მხოლოდ მაშინ არის მნიშვნელოვანი, როდესაც ისინი ჩვენს შვილებს უფრო ჰუმანურობაში ეხმარებიან.

ექსკურსიაზე მარტყოფში

საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის ბორჯომის რაიონული ორგანიზაცია, რომლის წევრებიც არიან მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, იმყოფებოდნენ ექსკურსიაზე სოფელ მარტყოფში, ისტორიული ღვთაების სამონასტრო კომპლექსის მოსანახულებლად, რომელიც გაშენებულია ტყით დაფარულ იალნოს ქედზე. მონასტერი VI საუკუნეში დაუარსებია 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთს - ანტონ მარტყოფელს.

მარტყოფის სამონასტრო კომპლექსი წარმოადგენს ისტორიულ და კულტურული მნიშვნელობის ძეგლს. VI საუკუნის პირველ ნახევარში აკრანის (ქვიანი ადგილი) ტერიტორიაზე მამა ანტონი დამკვიდრებულა, რომლისთვისაც განცალკევებით ცხოვრების გამო „მარტომყოფელი“ უწოდებიათ.

ანტონ მარტყოფელმა მალე სახელი გაითქვა, როგორც სასწაულმოქმედმა და მასთან თავი მოიყარეს მორჩილებმა, რასაც მარტყოფის სამონასტრო ცხოვრების აღორძინება მოჰყოლია.

1265 წელს „ოქროს ურდოს“ მბრძანებლის ბერქა ყაენის ლაშქრობის შემდეგ, რომელმაც ქალაქი რუსთავი გაანადგურა, საეპისკოპოსო კათედრალი რუსთავიდან მარტყოფში გადმოვიდა. 1395 წელს თემურ ლენგის შემოსევის დროს მონასტერი აოხრეს და დაიკარგა ტაძარში დასვენებული მაცხოვრის ხელით შექმნილი ხატი, რომელიც მამა ანტონს ედესიდან ჩამოუბრძანებია.

მარტყოფის მონასტერში ცხოვრობდა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი - კიროინ II, რომელიც 1918 წლის 26 აგვისტოს თავის სენაკში მოუკლავთ. მონასტერი 1934 წლამდე ფუნქციონირებდა. გაუქმების შემდეგ გამოყენებული იყო უპატრონო ბავშვთა თავშესაფრად, მოგვიანებით გადაკეთეს თბილისის №31-ე საავიაციო ქარხნის დასასვენებელ სახლად. მარტყოფში სამონასტრო ცხოვრება აღდგა 1989 წელს, სადაც მღვდელმსახურება და მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები. მონასტრის მთავარი ნაგებობა ღვთაების გუმბათოვანი ტაძარია, ნაგებობის ძირში შემორჩენილია საძვალე, სადაც არის ანტონ მარტყოფელის საფლავიც. მონასტრის აღმოსავლეთით, მთაზე დგას ანტონ მარტყოფელის სვეტი, სადაც მან სიცოცხლის ბოლო 15 წელი გაატარა.

უკან დაბრუნებისას სოფელ საგურამოში დავათვალიერეთ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, სადაც დიდი მამულაშვილი სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა. სახლის დიდი აივნები გადაჰყურებს ულამაზეს ეზოს. ილია ჭავჭავაძე ყოველ წლის 2 აგვისტოს აღნიშნავდა თავისი ანგელოზის - ელია წინასწარმეტყველის დღეს, რომელიც განსაკუთრებულად ყვარებია. იშლებოდა დიდი სუფრა, სადაც მოწვეული ყავდა ცნობილი ადამიანები და გლეხები, რომლებიც ერთმანეთის გვერდით სხდებოდნენ. ილიას გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ ოლღა გურამიშვილმა საგურამოს სახლი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა.

მუზეუმის გვერდით მდებარეობს ილია ჭავჭავაძის სახელობის „წმინდა ილია მართლის“ ტაძარი, რომლის მშენებლობა დაუწყიათ 2000 წელს და ძირითადი ნაწილი დასრულებულია. ტაძარი აშენდა ადგილობრივი მოსახლეობის უშუალო მხარდაჭერითა და ხელშეწყობით.

ექსკურსიის მონაწილენი დიდი შთაბეჭდილებებით და კმაყოფილები დაბრუნდნენ.

მურად ნოზაძე,
პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ბაკურიანის საბავშვო ბაღის თანამშრომლები უსამძიმრებენ ლიკა გიორგაძეს მამის

ვალიკო გაფეას

გარდაცვალების გამო

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2 ტელ. 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თეიდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru **რედაქტორი: ვალერიან ლომაძე**

ფოტოგრაფის თვალით

ადამიანები ბორჯომიდან

კიდევ ერთი გმირი და კიდევ ერთი ისტორია ბორჯომზე. ამჯერად „ბორჯომი“ და ფოტოგრაფი ნათელა გრიგალაშვილი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ქალ მფრინავს - ნადია ბენკლიანს გაგაცნობთ

ისტორია №2

ნადია ბენკლიანი - მფრინავი ბორჯომის მთებიდან დიდ ავიაციაში

მფრინავების ოჯახში გაზრდილმა, პროფესიული არჩევანი ჯერ კიდევ 13 წლის ასაკში გააკეთა. სწორედ მაშინ, როცა მამასთან ერთად მფრინავის კაბინაში მოხვდა. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მიზნისკენ სიარული იმ დღიდან დაიწყო. მიუხედავად დაბრკოლებებისა, ის ავიაციის ერთგული დარჩა და ხმელეთზეც და ცაშიც თავისუფალი სვლა დაიწყო.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ქალი მფრინავი ბორჯომში დაიბადა, აქ გაატარა ბავშვობა და დღესაც, დროს თუ გამონახავს, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ბორჯომში მოდის. შემიძლია მთელი დღე დავტკბე ამ ხედით, რომელიც ფართოდ იშლება ჩემი აივნიდან, ბორჯომის წიწვოვან და ფოთლოვან შემოგარენზე. ეს ხედები აღმაფრთოვანებს და თან მამშვიდებს, - ამ ემოციებს გვიზიარებს ნადია და თან თავის ბორჯომს გვაცნობს, ქალაქს, რომელიც მისი ბავშვობის ყველაზე ძვირფას მოგონებებს ინახავს.

კადრი, რომელიც ნადია ბენკლიანის სახლიდან ბორჯომის ხეობაზე იშლება, დღემდე მისთვის ყველაზე ძვირფასია. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი მსოფლიო შემოიარა, ეს ხედი ვერაფერმა შეცვალა. ამ ადგილზე მოპოვებული მინერალური წყალი ბორჯომი, მთელ მსოფლიოში საქართველოს სავიზიტო ბარათია. ნადია ბენკლიანი ამ სავიზიტო ბარათს მისი პროფესიის დახმარებით, ყველას აცნობს და მუდამ სიამაყით ამბობს - - გამარჯობა, მე ვარ ნადია ბენკლიანი, მფრინავი ქალი საქართველოს ულამაზესი ქალაქიდან, ბორჯომიდან.

პოეზიის კუთხე

არ დავკარგოთ ღირსება

ეს ქვეყანა, ეს სამყარო,
მხდალი წუთისოფელი,
ცოდვებისა საბუდარი,
ჭირ-ვარამის მშობელი.
ყოველ სულდგმულ-სულიერის
საარსებო მთა-ველი,
დროებითი სასტუმროა
სხვა მეტი არაფერი.
ჩვენს ცხოვრების სავალ გზაზე
თუმც ვიღლებით ყველაფრით,
რაც არ უნდ გვქონდეს ქონება,
ვერა ვძღებით ვერაფრით.
რაც მეტი გვაქვს, მეტი გვინდა,
მაინც მივდევთ ნდომასა,
გვავიწყდება ღმერთის მცნება,
ვერ აუვალთ ძღომასა.
მით უმეტეს კარგად ვიცით,
დროთა სვლაში მოკვდებით,
ამ ქვეყანას ისე ვით ხეს,
ფოთოლივით მოვწყდებოთ.
ოხრად დაგვრჩება ცოდვილებს
ქონებაც და თავიცა,
გლახაცა და კარგიცა,
ეკალიც და ვარდიცა.
თუ მივყვებით ნდობასა,
ვერ აუვალთ ძღომასა,

ვიკმაროთ რაც გვჭირდება,
არ დავკარგოთ ღირსება.
ქუნცელის ბრძნული აზრები,
ბუნებითგან კაზმული,
თუ არ გარგებთ, არც რას გავნებთ,
ვით მწვადი და შამფური.

გურამ ქუნცელი-ივანიძე,
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ვალერიან გობრონიძის მოსაგონარი

ღირსეულად განვლილი სიცოცხლე

არიან ადამიანები, რომელთა განვლილი ცხოვრება და ღვაწლი ნამდვილად დაუვიწყარია.

ასეთი ადამიანები შორეულ წარსულშიც იყვნენ და დღესაც არსებობენ, რომელთა გახსენება ნამდვილად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რამეთუ მათი კეთილშობილური საქმიანობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე ფასდაუდებელია.

სწორედ ქვეყნის წინაშე ასეთ ვალმოხდილი პიროვნება გახლდათ ყოფილი საბჭოთა და პარტიული მუშაკი, ბორჯომის საზოგადოებაში ავტორიტეტული პიროვნება ვალერიან გობრონიძე, რომელიც 1915 წელს დაბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში, ღარბი გლეხის ოჯახში.

1939 წელს წარმატებით დააამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ბორჯომის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში რაიონსპექტორად, სადაც მკაფიოდ გამოიკვეთა მისი მტკიცე ხასიათი და პიროვნული ღირსებები.

წლების მანძილზე ბატონი ვალერიან გობრონიძე მუშაობდა პარტიული განათლების კაბინეტის გამგედ, პარტიის რაიკომის აგიტაციაპროპაგანდის განყოფილების გამგედ, მთავლიტის რწმუნებულად ბორჯომის რაიონში, ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა განყოფილების გამგედ. 1955 წელს აირჩიეს პარტიის რაიკომის მეორე მდივნად.მომდევნო წლებში მუშაობდა საქალაქო საბჭოს აღმასკომში, კულტურის განყოფილების გამგედ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, 1982 წელს ბატონი ვალერიანი საავტომობილო ავარიაში ტრაგიკულად დაიღუპა.

ბატონი ვალერიანი გამოირჩეოდა მაღალი შინაგანი კულტურით, პრინციპულობით, თავაზიანობით, სადაც კი იმუშავა, შრომით კოლექტივებში, დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა. არაერთხელ იყო არჩეული რაიონულ და საქალაქო საბჭოს დეპუტატად, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრად.

სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის დაჯილდოებული იყო სახელმწიფო ჯილდოებით, დიპლომებით, საპატიო სიგელებით.

დღეს რამდენიმე ასაკოვანი პიროვნება თუ შემორჩა ბატონ ვალერიან გობრონიძეს გამხსენებლად. მოვალედ ვთვლით თავს, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ამ ქვეყნის ღირსეული მამულიშვილი და პატივი მივაგოთ მის ხსოვნას.

ბატონ ვალერიანს ოჯახში დარჩა ბუნებით მეტად სათნო და ბორჯომში კარგად ცნობილი შვილი - ნანა, რომელიც არ ივიწყებს არც მშობლებს და არც საყვარელ დაიკოს, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. ქალბატონი ნანა დიდი სიყვარულით და მოკრძალებით უფრთხილდება მშობლების და დის ხსოვნას და ყოველმხრივ ცდილობს დავიწყებას არ მისცეს მათი ღვაწლი.

მეგობრები.